სოციალური მუშაობის პრაქტიკის ანალიზი N16 დაბალი რისკისა და გათავისუფლებისთვის მომზადების პენიტენციურ დაწესებულებაში

სალომე ყურმაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მნიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი ქ-ნი შორენა სამაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ აღნიშნული ნაშრომი არის ჩემს მიერ შესრულებული ორიგინალი ნაშრომი, რომელიც არ წარმოადგენს სხვა აქამდე გამოქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ყურმაშვილი

20.06.2024

აბსტრაქტი

წინარე ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის საგანს წარმოადგენს N16 დაბალი რისკისა და გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულებაში სოციალური მუშაობის პრაქტიკის აღწერითი კვლევა, შესწავლა იმისა, თუ რა ფორმით არის დანერგილი სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში სოციალური მუშაობა, რა ფორმით მიმდინარეობს ინტერვენციების განხორციელება და რა მიზანს ემსახურებ აღნიშნული. ასევე შესწავლილი და გაანალიზებულია ის გამოწვევები და სირთულეები , რომლის წინაშეც დგას სოციალური მუშაობის პრაქტიკა პენიტენცირ დაწესებულებაში.

ნაშრომის ფარგლებში თვისებრივი კვლევის საფუძველზე, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით გამოიკითხა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის სამი სოციალური მუშაკი და ორი შემთხვეევის ადმინისტრატორი, რომლებიც დასაქმებულნი არიან N16 პენიტენციურ დაწესებულებაში, ასევე კვლევაში მონაწილეობა მიიღო სოციალური მუშაობის პროფესიულმა ზედამხედველმა. აღნიშნული რესპოდენტები უშუალოდ არიან სოციალური მუშაობის სფეროს წარმომადგენლები პენიტენციურ დაწესებულებაში ან მათი საქმიანობა უკავშირდება სოციალური მუშაკის პრაქტიკის განხორციელებას მართლმსაჯულების სისტემაში.

ნაშრომში ასევე წარმოადგენილია სხვადასხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, რომელიც უკავშირდება პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სოციალური მუშაობის ფარგლებში მიწოდებული სერვისების მნიშვნელობას, ისტორიულ მიმოხილვას სოციალური მუშაობის პრაქტიკის დანერგვის შესახებ ციხეებში, იმ საკანონმდებლო დოკუმენტების ანალიზსს, რაც არეგულირებს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ჩატარებული კველის შედეგად გამოირკვა, რომ სოციალური

მუშაობის პრაქტიკის დანერგვა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში დაიწყო სასჯელის მიზნობრიობის განსაზღვრიდან გამომდინარე. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ჩამოყალიბდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას და რესოციალიზაციის ხელშეწყობას. სარეაბილიტაციო, განათლებისა და დასაქმების მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც ხდება ინდივიდუალური სასჯელის მოხდის გეგმის შედგენა და სხვადასხვა პროგრამების განხორციელება. სოციალური მუშაკი ჩართულია მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში, როგორც შემთხვევეის მმართველი და მონაწილეობას იღებს მის ეფექტურად წარმართვაში. კვლევიდან გამოვლინდა ის სირთულეები და საჭიროებები რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სოციალური მუშაობის პრაქტიკის სრულყოფილად აღსრულებაზე: სოციალური მუშაკების კადრების ნაკლებობა დაწესებულებაში, მულტიდისციპლინარული გუნდის წევრების გადამზადების საჭიროება, ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების მორგება მსჯავრდებულთა სხვადასხვა საჭიროებებზე, ჩატარებული ინტერვენციების ეფექტურობის განმსაზღვრელი მექანიზმების დანერგვა, შესაბამისი კვლევების ჩატარება სოციალური მუშაობის სფეროს გასაუმჯობესებლად, შიდასტრუქტურული კომუნიკაციის ეფექტურობის გაზრდა, პროფესიული გადაწვის წინააღმდეგ საჭირო პრევენციული ღონისძებების განხორციელება და სოციალურ მუშაკთა სამუშაო პირობების მუდმივი განვითარების ხელშეწყობა.

საკვანძო ტერმინები - მსჯავრდებული, პენიტენციური დაწესებულება, რესოოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ინტერვენცია, მულტიდისციპლინარული გუნდი, პროფესიული გადწვა.

Abstract

The subject of the research carried out within the framework of the previous work is a descriptive study of the practice of social work in the N16 low-risk and preparation for release institution, the study of the form in which social work is implemented in the special penitentiary institution, in what form the interventions are being implemented and what purpose it serves. The challenges and difficulties faced by the practice of social work in the penitentiary institution are also studied and analyzed.

Within the framework of the work, on the basis of qualitative research, using the in-depth interview method, three social workers and two case administrators of the Department of Resocialization-Rehabilitation of Convicts of the Special Penitentiary Service, who are employed in the N16 penitentiary institution, were interviewed, as well as a professional supervisor of social work participated in the research. The mentioned respondents are directly representatives of the field of social work in the penitentiary institution or their activities are related to the implementation of social worker practice in the justice system.

The paper also presents an analysis of various types of scientific literature related to the importance of services provided within the framework of resocialization-rehabilitation and social work of convicts in a penitentiary institution, a historical overview of the introduction of social work practices in prisons, an analysis of the legislative documents that regulate the resocialization-rehabilitation process in a prison. As a result of the conducted research, it was found that the introduction of social work practice in the penitentiary system of Georgia started based on the determination of the purpose of the punishment. The resocialization-rehabilitation department of convicts was formed in the special penitentiary service, which ensures the rehabilitation of convicts and promotion of resocialization in the direction of rehabilitation, education and employment, within the framework of which individual punishment plans are drawn up and various programs are implemented. The social

worker is involved in the rehabilitation process of convicts as a case manager and participates in its effective management.

The research revealed the difficulties and needs that may affect the perfect implementation of social work practice: lack of social workers in the institution, the need to train members of the multidisciplinary team, adapting psycho-rehabilitation programs to the various needs of convicts, introducing mechanisms for determining the effectiveness of interventions, conducting relevant research in the field of social work. To improve, increase the efficiency of intrastructural communication, implement the necessary preventive measures against professional burnout and promote the continuous development of the working conditions of social workers.

Key terms - convict, penitentiary, resocialization-rehabilitation, intervention, multidisciplinary team, professional burnout.